მოსკოვი – თბილისი

7 ივლისს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე შესდგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში (“ა” ჯგუფი). ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის “ტორპედოსა” და თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

პირველი ტაიმის შუა წუთებიდან ინიციატივა გადავიდა მოსკოველთა ხელში. ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მოსკოველმა პონომარიოვმა მოულოდნელი დარტყმით გაიტანა პირველი გოლი თბილისელთა კარებში.

მეორე ტაიმი დაიწყო მოსკოველთა შეწყობილი იერიშებით. მე–15 წუთზე მოსკოველი ცენტრფორვარდი პონომარიოვი სარგებლობს მეკარე სანაიას შეცდომით და ღია კარში ურტყამს ბურთს. მცველი პეხლევანიდი ოსტატურად აბრუნებს მოედნისაკენ ამ საშიშ ბურთს. ხუთი წუთის შემდეგ მეკარე სანაია სხარტი ნახტომით იგერიებს “მკვდარ” ბურთს. თამაშის ტემპი ნელნელა ეცემა და ბურთი უმთავრესად ტრიალებს მოედნის ცენტრში. შეხვედრის ბოლო 15 წუთი მიმდინარეობს თბილისელთა აშკარა უპირატესობით. 32–ე წუთზე ხარბედია ძლიერი დარტყმით ათანაბრებს ანგარიშს.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ – (1:1).

“კომუნისტი”, 8 ივლისი 1945 წ.